ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№32
(გაერთიანებული ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან)

ქ. თბილისი; 13 ნოემბერი 2018 წ. 13:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
თინათინ ნიბლოშვილი
ელენე ოზაშვილი
ქეთევან მამულაშვილი
ნინო ლაცაბიძე
ავთანდილ ცინცაძე
გიორგი ჩაკვეტაძე

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისი
თავმჯდომარე - თამარ ტალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული
და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსი - ნინო კვეტენაძე

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. "ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზირი №147 ის მიმდებარედ არსებული 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.13.08.003.083) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კრეატივისთვის" (ს/ნ: 406243505) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

2. "ქალაქ თბილისში, გლდანის „ა" მიკრო/რაიონი კორპუსი N58-ის მიმდებარედ არსებული 400 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.017.178) საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

3. "ქალაქ თბილისში, წავკისის ქ. #13-ში მდებარე 763 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: #01.15.05.087.019) გაცვლის ფორმით პრივატიზების გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

4. „ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, მდებარე 204 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.055.053) მანანა მიქელაძისთვის (პ/ნ: 01025000727) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ " ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 26 ოქტომბრის №40.16.786 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

5. „ქ. თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის – ,,თბილისი"-ს ჩატარების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის №11-41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

6. „ქ. თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - „თბილისი" ჩატარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის №128 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი და კომისიის წევრებს შესთავაზა აღნიშნული

პროექტიდან რიგით მე-4 საკითხის ამოღება, ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და შესწავლის მიზნით.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა თანხმობა განაცხადეს კომისიის თავმჯდომარის მიერ წარდგენილ წინადადებასთან დაკავშირებით და ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგის პროექტი, რიგით მე-4 საკითხის გარეშე.

მოისმინეს:

1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზირი №147-ის მიმდებარედ არსებული 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.13.08.003.083) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კრეატივისოვის" (ს/ნ: 406243505) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №147-ის მიმდებარედ არსებული 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „კრეატივი"-სთვის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შეთანხმებას, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- მიწის ნაკვეთის საიჯაროს ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრა - 1400 (ათას ოთხასი) ლარი, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაზე დაყრდნობით, რომლითაც, დაინტერესებაში არსებული 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საიჯარო ქირის ოდენობამ, 2018 წლის 17 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგინა - 1344 (ათას სამას ორმოცდაოთხი) ლარი;
- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრა - 2021 წლის 11 მაისამდე.

ამასთან, ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ დაამატა, რომ კომპანია „კრეატივს" იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N147-ის მიმდებარე მიწის ნაკვეთიდან შპს „ლანტანა"-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ფართი-60,97 კვ.მ.; ანტრესოლი-48,10 კვ.მ.), ხოლო ამ უკანასკნელმა, მომხსენებლის მითითებით, სსიპ-ქონების მართვის სააგენტოში წარადგინა წერილობითი თანხმობა, რომ მის საკუთრებაში არსებული კომერციული ფართის მიმდებარედ, მისმა მოიჯარემ - შპს „კრეატივმა", დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, ქალაქ თბილისის მერიასთან შეთანხმებული პროექტის ფარგლებში, განათავსოს გარე მაგიდები.

მომხსენებელმა მიუთითა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა სსიპ-ქონების მართვის სააგენტოში წარადგინა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილება, რითაც დადებითი შეფასება მიეცა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N149-ის მიმდებარედ ღია კაფეს მოწყობის საკითხს.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის ლევ ჟორჟოლიანის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

სამართლებრივ საფუძვლებში დამატებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონ„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნ გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზ განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი “ქალაქ თბილისში, გლდანის „ა“ მიკრო/რაიონი კორპუსი N58-ის მიმდებარედ არსებული 400 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.017.178) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, გლდანის „ა“ მიკრორაიონი კორპუსი N58-ის მიმდებარედ არსებული 400 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საქართველოს საპატრიარქოსთვის სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარი ოდენობის სანაცვლოდ, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების თაობაზე საკითხისა და ხელშეკრულების შემდეგი პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას:

1. საპრივატიზებო საფასური გადახდილი უნდა იქნას შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;
2. სსიპ-საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური, მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადასაცემ მიწის ნაკვეთზე უნდა აშენდეს ეკლესია.

ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ თავდაპირველად, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქ. თბილისში, გლდანის „ა“მ/რ, 58 კორპუსის მიმდ. არსებული 12 272 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 788 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ეკლესიისთვის სიმბოლურ ფასად გადაცემასთან დაკავშირებით, ეკლესიის მშენებლობის მიზნით. აღნიშნული საკითხის შესახებ, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს შუამდგომლობით ასევე მიმართა ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონის N20 ე მაჟორიტარული ოლქის მაჟორიტარმა პარლამენტის წევრმა კობა კობალაძემ.

ამასთან, მომხსენებელმა დაამატა, რომ მოგვიანებით, საქართველოს საპატრიარქოს მიერ დაზუსტებულ იქნა მოთხოვნა და ნაცვლად, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის ოდენობისა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარადგინა თხოვნა - ქ. თბილისში, გლდანის „ა“ მ/რ, N58-ე კორპუსის მიმდებარედ 12 272 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 400 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სსიპ - საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიისათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, ეკლესიის აშენების მიზნით.

ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ სსპ-ქონების მართვის სააგენტომ, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურისგან ითხოვა ქალაქგეგმარებითი პოზიციის გაცემა - N01.11.12.017.157 საკადასტრო ერთეულიდან ნაწილი მიწის ნაკვეთის გამოყოფასა და საქართველოს საპატრიარქოსთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, შემდგომში ეკლესიის აშენების მიზნით. მისივე მითითებით, სამსახურმა, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიიჩნია, სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს მიერ, სამსახურში შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად, დანართის სახით წარდგენილი, SHP ფაილის მიხედვით, (400 კვ.მ.) მიწის ნაკვეთის განკარგვა, შემდგომში, ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

მომხსენებლის თქმით, სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქ. თბილისში, გლდანის „ა“ მ/რ, კორპუსი N58-ის მიმდებარედ არსებული 12 272 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 400 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გამოყოფა და საქართველოს საპატრიარქოსთვის სიმბოლურ ფასად გადაცემა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ხოლო, სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს მიერ განხორციელდა N01.11.12.017.157 საკადასტრო ერთეულის გამიჯვნა და საქართველოს საპატრიარქოსთვის გადასაცემი 400 კვ.მ. მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა N01.11.12.017.178 საკადასტრო კოდით.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რ მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი დასაბუთებ ნაწილში მითითებულ იქნას შემდეგი შემდეგი ნორმები:

- საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებაა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.
- ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.
- 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ამ კანონითა და თბილისის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ.
- აგრეთვე, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად, ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების ან/და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს, ხელშეკრულების/პრივატიზების პირობებსა და საპრივატიზებო ფასს განსაზღვრავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო საკითხს ამზადებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო).

ამასთან, ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიმართ ასევე არსებობს შემდეგი სახის შენიშნები:

1. სათაურში უნდა მიეთითოს „პრივატიზების თაობაზე ხელშეკრულების პირობების საკრებულოსთან შეთანხმების საკითხიც“ და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით;

2. ასევე, განკარგულების პროექტის პირველი პუნქტში სწორი რედაქციით მიეთითოს ქალაქ თბილისის მთავრობის განკარგულების სათაური და განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტში კონკრეტულად აღინიშნოს განკარგულების გასაჩივრების ვადა (1 (ერთი) თვე).

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შეხიშვნებ გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზ განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, “ქალაქ თბილისში, წავკისის ქ. #13-ში მდებარე 763 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: #01.15.05.087.019) გაცვლის ფორმით პრივატიზების გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ნინო კვეტენაძემ განმარტა, რომ მოქალაქე ლაშა სიგუამ განცხადებებით მიმართა ქალაქ თბილისის მერიას და ითხოვა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ქავთარაძის ქუჩაზე და ვაჟა-ფშაველას შემაერთებელ გზაზე, II საავადმყოფო-პოლიკლინიკის მოპირდაპირედ არსებული 364 კვ. მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: # 01.14.03.038.018) სანაცვლოდ, ქალაქ თბილისში, წავკისის ქ. # 13-ში მდებარე 763 კვ. მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: # 01.15.05.087.019) საკუთრებაში გადაცემა, მისი მხრიდან 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის დამატებით გადახდის პირობით. ამასთან დაამატა, რომ აღნიშნულმა პირმა, მიუხედავად ფუნქციური ზონით დაშვებული სამშენებლო განვითარების შესაძლებლობისა, ვერ მიიღო სათანადო ნებართვები მერიის შესაბამისი უწყებისგან, ნაკვეთის სამშენებლო განვითარების მიზნით.

მომხსენებელმა დაამატა, რომ დაინტერესებული პირის მიერ, სამშენებლო ნებართვების მოპოვებასთან დაკავშირებული საკითხის ყველა შესაბამისი სასამართლო ინსტანციის გავლის შემდგომ, სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს დაევალა ახალი ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემა, მიუხედავად აღნიშნულისა, მაინც ვერ მოხერხდა შესაბამისი ნებართვების მოპოვება.

ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ მოქალაქის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ განთავსებულია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ხოლო,

აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ აღნიშნულ სახელმწიფო ორგანოს ეთხოვა პოზიციის დაფიქსირება მიწის ნაკვეთის ადგილმონაცვლეობასთან დაკავშირებით, ხოლო, ამ უკანასკნელმა მიზანშეწონილად მიიჩნია 364 კვ. მ. მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ, სხვა ალტერნატიული უძრავი ქონების გადაცემა მისი მესაკუთრისთვის.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია სანაცვლოდ გადასაცემი 763 კვ. მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: # 01.15.05.087.019) განკარგვა, ამასთან, გაიცა რეკომენდაცია, რომ მიწის ნაკვეთის შემდგომი განაშენიანება უნდა მოხდეს - ლანდშაფტური გარემოსა და უბნის მორფოლოგიის გათვალისწინებით

ნინო კვეტენაძის მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, #01.15.05.087.019 საკადასტრო ერთეულის საბაზრო ღირებულება, 2018 წლის 27 აპრილის მდგომარეობით, განისაზღვრა 673 051 (ექვსას სამოცდაცამეტი ათას ორმოცდათერთმეტი) ლარის ოდენობით, ხოლო #01.14.03.038.018 საკადასტრო ერთეულის საბაზრო ღირებულებად 2018 წლის 30 იანვრის მდგომარეობით, განისაზღვრა 359639 (სამას ორმოცდაცხრამეტი ათას ექვსას ოცდაცხრამეტი) ლარი (144144 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა).

მომხსენებელმა ასევე დაამატა, რომ მოქალაქემ დამატებით მიმართა შპს „იუაი საქართველოს", რომელმაც 2018 წლის 5 ივლისის მდგომარეობით 364 კვ. მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: # 01.14.03.038.018) საბაზრო ღირებულება განსაზღვრა 1 050 000 (მილიონ ორმოცდაათი ათასი) ლარით, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საბაზრო ღირებულება დაადგინა 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარით. მისივე მითითებით, ლაშა სიგუამ ითხოვა გაცვლის საკითხის განხილვისას ამ კომპანიის შეფასების გათვალისწინება, ამასთან, აღნიშნა, რომ მიუხედავად სხვაობისა, დამატებით გადაიხდის 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს ბიუჯეტის სასარგებლოდ, ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი თვის ვადაში.

მომხსენებელმა დაამატა, რომ საკითხის განხილვისას, მიზანშეწონილია, გათვალისწინებულ იქნას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ადგილმდებარეობის ფაქტორი და ამ სახელმწიფო ორგანოს პოზიცია მიწის ნაკვეთის მონაცელეობასთან დაკავშირებით, ასევე აღნიშნა, რომ ლაშა სიგუას ნაკვეთი ფაქტიურად წარმოადგენს ტროტუარისთვის განკუთვნილი ტერიტორიის გარკვეულ მონაკვეთს და ამ თვალსაზრისითაც მიზანშეწონილია, მისი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღება, რაც შესაძლებელს გახდის მის საერთო საზოგადოებრივ სივრცედ განვითარებას, სამშენებლო განვითარების ნაცვლად.

ნინო კვეტენაძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, განმცხადებლის წინადადების დაკმაყოფილება და მიწის ნაკვეთის გაცვლა შპს „იუაი საქართველოს" შეფასების გათვალისწინებით, რომლის მიხედვით, ლაშა სიგუას ნაკვეთის საბაზრო ღირებულება აღემატება დედაქალაქის საკუთრებაში არსებული ქონების საბაზრო ღირებულებას, ასევე, განმცხადებლის შემოთავაზება - თანხის დამატებით გადახდასთან

დაკავშირებით, აღნიშნული შეიძლება ვალდებულებად განისაზღვროს და არა საპრივატიზებო საფასურად, ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს № 21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, გაცვლის ფორმით პრივატიზება, საპრივატიზებო საფასურით, ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების საბაზრო ღირებულება აღემატება გასაცვლელი ქონების საბაზრო ღირებულებას, რაც მოცემულობად არ განიხილება შპს „იუაი საქართველოს" შეფასების ანგარიშის გათვალისწინების შემთხვევაში.

ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მომხსენებელმა მიუთითა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის გარეშე გაცვლის ფორმით პრივატიზება შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დაინტერესებული პირისთვის - ლაშა სიგუასთვის გადაცემა უნდა მოხდეს აღნიშნული პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უფლებრივად უნაკლო მდგომარეობით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ;
- საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, თანხმობის გაცემიდან 3 (სამი) თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ უნდა უზრუნველყოს უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულების გაფორმება ლაშა სიგუასთან (პ/ნ 01024016381), № 01.14.03.038.018 საკადასტრო ერთეულის რაიმე ვალდებულების და იპოთეკის გარეშე რეგისტრირებული მდგომარეობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 18 სექტემბრის № 18.770.1136 განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის მიხედვით.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიმართ არსებობს შემდეგი სახის შენიშვნები:

1. მიუხანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი;

2. ასევე, კომისია მიიჩნევს, რომ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს № 21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესი, სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს შემდეგნაირად:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს № 21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2_მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-5 მუხლის_მიხედვით“.

3. ასევე, კომისისა მიიჩნევს, რომ, განკარგულების პროექტის სათაური უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისში, წავკისის ქ. #13-ში მდებარე 763 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: #01.15.05.087.019) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ევროპული საქართველო“ წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა თავი შეიკავ წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა (ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარ წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინები მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

4.ამოღებულია.

მოისმინეს:

5.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა „ქ. თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის – ,,თბილისი“-ს ჩატარების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის №11-41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, დადგენილების პროექტი ითვალისწინებს „ქ. თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის – ,,თბილისი“-ს ჩატარების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის №11-41 დადგენილებაში შემდეგი სახის ცვლილებათა განხორციელებას:

1.პროექტით დადგენილების პირველი პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„1. ქ. თბილისში ყოველწლიურად ჩატარდეს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსი „თბილისი“. კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა დარგში მოღვაწე პირების და ასევე ნებისმიერი დაინტერესებული პირის შემოქმედებით აქტივობას, ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენასა და წახალისებას, საზოგადოებაში სამოქალაქო ცნობიერებისა და საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ ცნობადობის ამაღლებას.“

2. პროექტის შესაბამისად, ცვლილება ხორციელდება ჟიურის წევრთა რაოდენობაში. კონკურსის ჩატარების, ნამუშევრების შეფასებისა და გამარჯვებულთა გამოვლენის მიზნით ყოველწლიურად შედგება შესაბამისი ჟიური 5 (ხუთი) წევრის შემადგენლობით, ნაცვლად 7

წევრისა. ჟიურის უფლებამოსილება შეუწყდება ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის „თბილისის“ დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ.

3.ასევე, პროექტის მიხედვით, განისაზღვრა ჟიურის მიერ გადაწყვეტილების მიღების ფორმა ჟიურის მიერ გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით. გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელშიც მითითებული იქნება ჟიურის შეკრების ადგილი, თარიღი, დამსწრეთა რაოდენობა და მიღებული გადაწყვეტილების შინაარსი. ოქმს ხელს აწერს ჟიურის ყველა დამსწრე წევრი. ჟიურის გადაწყვეტილება საბოლოოა და გადახედვას არ ექვემდებარება.

4.პროექტით წარმოდგენილი დადგენილების მე-6 პუნქტის შემდეგ ემატება 6^1 და 6^2 პუნქტები:

„6^1. ჟიურის წევრები ინდივიდუალურად ეცნობიან, არჩევენ და აფასებენ წარმოდგენილ ნამუშევრებს. საკონკურსო ნამუშევრების შეფასებისას ჟიური ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმებით: ნაწარმოების ესთეტიური მხარე, ახალი და ინოვაციური აზროვნება, რეალური ფაქტების გამოყენებით მაღალმხატვრული ნაწარმოების შექმნის უნარი.

6^2. ჟიურის თითოეული წევრი ვალდებულია, კეთილსინდისიერად ძოეკიდოს დაკისრებულ მოვალეობას და ყოველგვარი მიკერძოების გარეშე, ობიექტურად მიანიჭოს უპირატესობა საკონკურსოდ წარდგენილ ნამუშევარს. ჟიურის წევრი ასევე ვალდებულია დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალურობა და ოფიციალურ გამოცხადებამდე არ გაახმაუროს კონკურსის შედეგები.“

5.დადგენილების პროექტის მიხედვით, ნაცვლად არსებული ნომინაციებისა, კონკურსის ნომინაციად განისაზღვრა წლის საუკეთესო ესსე.

6.ასევე, პროექტით წარმოდგენილი დადგენილების მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატა 7^1 -7^5 პუნქტები, რომლებიც განსაზღვრავს შემდეგს:

„7^1 . ჟიური ხმათა უმრავლესობის პრინციპით გამოავლენს სამი საუკეთესო ესსეს ავტორს.

7^2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა შეივსოს ელექტრონული განაცხადი და საკონკურსო ნაწარმოები წარმოდგენილი იქნეს ელექტრონული სახით (PDF ფორმატით). სააპლიკაციო ფორმა განთავსებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე: www.tbsakrebulo.gov.ge

7^3. კონკურსის მონაწილე შეიძლება გახდეს ნებისმიერი დაინტერესებული პირი, ასაკობრივი შეზღუდვის გარეშე, გარდა ჟიურის და საორგანიზაციო ჯგუფის წევრისა.

7^4. კონკურსის ჩატარების ეტაპებია: ა) I ეტაპი - კონკურსის გამოცხადება, განაცხადების შევსება, საკონკურსო ნამუშევრების წარდგენა; ბ) I I ეტაპი - ჟიურის მიერ ნამუშევრების გაცნობა და შეფასება; გ) I I I ეტაპი - გამარჯვებულების გამოვლენა; დ) IV ეტაპი - გამარჯვებულების დაჯილდოება.

7^5. კონკურსის ეტაპების ვადები და ნომინაციის თემატიკა ყოველწლიურად განისაზღვროს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით.“

7.დადგენილების პროექტის მიხედვით, გამარჯვებულს გადაეცემა ფულადი ერთჯერადი განაცემი (ჯილდო) 1500 (ერთიათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

8.წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესაბამისად, ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის „თბილისი“ დაჯილდოების ცერემონია გაიმართება ყოველი წლის ბოლოს, ნაცვლად ყოველი წლის ოქტომბრის თვეში თბილისობის დღესასწაულის ფარგლებისა.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს ლევან ჟორჟოლიანის მოსაზრებით, სასურველია, წარმოდგენილი პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ამასთან, ბატონ ლევან ჟორჟოლიანის მითითებით, ვინაიდან, პროექტით წარმოდგენილი დადგენილების მე-6 პუნქტში ჟიურის წევრთა მიერ გადაწყვეტილების მიღება განსაზღვრულია ხმათა უბრალო უმრავლესობით, სასურველია, დადგენილების მე-7[1] პუნქტშიც იყოს იგივე მითითება. შესაბამისად, პროექტით წარმოდგენილი დადგენილების მე-7[1] პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7[1]. ჟიური ხმათა უბრალო უმრავლესობის პრინციპით გამოავლენს სამ საუკეთესო ესსეს ავტორს.“
გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნებ გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზ განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა „ქ. თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - „თბილისი“ ჩატარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის №128 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ძალადაკარგულად ცხადდება „ქ. თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - „თბილისი“ ჩატარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის №128 განკარგულება.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ კონკურსი „თბილისი“ ტარდებოდა, საკრებულოს მიერ გამოცემული, როგორც ნორმატიული, ასევე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე. მისი ჩატარების ზოგად პირობებს

განსაზღვრავდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება, ხოლო, კონკურსის საორგანიზაციო საკითხების მოსაწესრიგებლად, ყოველწლიურად გამოიცემოდა თბილისის საკრებულოს განკარგულება.

ამასთან, მომხსენებელმა დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის 2018 წლის 22 ოქტომბრის N16 სხდომაზე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ხსენებულ დადგენილებაში ცვლილების განხორციელება და კონკურსის „თბილისი" ჩატარებისთვის საჭირო ზოგიერთი დებულება გაიწეროს კონკურსის შესახებ საკრებულოს შესაბამის დადგენილებაში, ხოლო, დამატებითი საკითხები განისაზღვროს საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით. აგრეთვე დასძინა, რომ რამდენადაც საკითხის მომწესრიგებელი განკარგულების მოქმედების საჭიროება აღარ არსებობს, ხდება მისი ძალადაკარგულად გამოცხადება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი თ.კაკოიშვილი თამთა კაკოიშვილი